საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2022 წლის საქმიანობის შეჯამება

(ილია დარჩიაშვილის სიტყვით გამოსვლა პარლამენტში, „მინისტრის საათის“ ფარგლებში)

2022 წელს ქართულ დიპლომატიას განსაკუთრებულ ვითარებაში უწევდა მუშაობა: რუსეთის სამხედრო აგრესიამ უკრაინის წინააღმდეგ დიდი გამოწვევების წინაშე დააყენა არა მხოლოდ გლობალური უსაფრთხოების საკითხი, არამედ, გლობალური წესრიგის, როგორც ასეთის, არსებობა.

ურთულესი საერთაშორისო გარემოს მიუხედავად, საქართველო წარმატებით ახერხებდა საგარეო პოლიტიკურ საფრთხეებთან გამკლავებას, დგამდა ქმედით ნაბიჯებს, მკაფიოდ და მიზანმიმართულად აგრძელებდა ძირითადი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების განხორციელებას, რაც წარმოადგენს ქართველი ხალხის ისტორიულ და ცივილიზაციურ არჩევას.

ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცება და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა, რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება

გასული წლის განმავლობაში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო პარტნიორი ქვეყნების და ორგანიზაციების მხარდაჭერით აგრძელებდა აქტიურ მუშაობას ქვეყნის **სუვერენიტეტის განმტკიცებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, დეოკუპაციისა და რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების** უზრუნველსაყოფად.

რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინის წინააღმდეგ დაწყებული ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესია დამატებით გამოწვევებს ქმნის საქართველოსთვის. ჩვენ ძალისხმევას არ ვიშურებთ ამ ტურბულენტური ვითარების ფონზე **რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის თემის და რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების აუცილებლობის საკითხის საერთაშორისო დღის წესრიგში აქტუალიზაციისთვის**.

– ხდებოდა ყველა **დიპლომატიური თუ სამართლებრივი ინსტრუმენტის გამოყენება საერთაშორისო მხარდაჭერის მობილიზების** უზრუნველყოფისთვის.

– რუსეთ-საქართველოს კონფლიქტთან დაკავშირებულ საკითხებს ისმებოდა ყველა შესაბამის **ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატში და** მუდმივად ხდებოდა ჩვენი **პარტნიორების ინფორმირება.**

სწორედ ქართული მხარის აქტიური დიპლომატიური ნაბიჯების შედეგად, პარტნიორების მხრიდან საქართველოს აქვს მკაფიო მხარდაჭერა, რაც აისახება **პარტნიორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების საჯარო განცხადებებში და არაერთ დოკუმენტში**. მათ შორის აღსანიშნია:

გაერო-ს გენერალური ასამბლეის ყოველწლიური რეზოლუცია - „აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან, იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ - რომელიც გენერალურმა ასამბლეამ **რეკორდულად მაღალი მხარდამჭერი ხმებით (95) მიიღო. წელს რეზოლუციის თანასპონსორი/თანაავტორი გახდა 61 ქვეყანა.**

გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუცია - „თანამშრომლობა საქართველოსთან“. **წელს მისი თანასპონსორი/თანაავტორი გახდა 48 ქვეყანა.**

გაერო-ს უშიშროების საბჭოს წევრების განცხადება რუსეთ-საქართველოს ომის მე-14 წლისთავთან დაკავშირებით;

ევროპარლამენტის რეზოლუცია აღმოსავლეთ პარტნიორობის არეალში უსაფრთხოების შესახებ;

ევროპის საბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის გადაწყვეტილება; ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის კონსოლიდირებული ანგარიში;

ეუთო-ში საქართველოს მეგობართა ჯგუფის ერთობლივი განცხადებები, მათ შორის აგვისტოს ომის წლისთავთან დაკავშირებით.

- ამ პროცესში მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა **ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს** მიერ 2021 წლის 21 იანვარს მიღებული ისტორიული გადაწყვეტილება, რითაც დადგინდა რუსეთის პასუხისმგებლობა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის არაერთი მუხლის დარღვევისათვის.
- ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ **2022 წლის 30 ივნისს ჰაგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ დაკავების ორდერები გამოსცა ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო რეჟიმის 3 „მაღალჩინოსნის“ - მიმართ.**
- რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესში მნიშვნელოვნ ინსტრუმენტია **ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები**, რომელიც **ერთადერთი ფორმატია** ევროკავშირის შუამავლობით დადებული 2008 წლის 12 აგვისტოს **ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულების** საკითხზე და უზრუნველყოფს ამ თემის **საერთაშორისო დღის წესრიგში აქტუალიზაციას**.

– რეგიონში არსებულმა კონტექსტმა, ბუნებრივია, გავლენა იქონია ჟენევის მოლაპარაკებების პროცესზეც. შესაბამისად მიმდინარე წელს რაუნდის გამართვა მხოლოდ 5 ოქტომბერს მოხერხდა, რაც ჟენევის მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეებსა და მათ ორგანიზაციებთან (ევროკავშირი, გაერო, ეუთო), ასევე აშშ-სთან ქართული მხარის მჭიდრო თანამშრომლობის, მუდმივი კონსულტაციებისა და აქტიური მუშაობის შედეგად მოხერხდა.

– საგარეო საქმეთა სამინისტროს აქტიური ძალისხმევისა და პარტნიორების მხარდაჭერით შესაძლებელი გახდა, რომ აღნიშნულ რაუნდზე განხილვა ფოკუსირებული ყოფილიყო დღის წესრიგის მთავარ თემებზე, როგორიცაა რუსეთის ფედერაციის მიერ ევროკავშირის შუამავლობით დადებული 2008 წლის

12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულება და ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთარ სახლებში დაბრუნება.

- ქართული მხარე განაგრძობდა აქტიურ **თანამშრომლობას ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან, რომელსაც** განსაკუთრებული როლი აქვს ქვეყანაში მშვიდობის უზრუნველყოფისა და ადგილზე ვითარების ესკალაციის პრევენციის საქმეში. საქართველო ყველა შესაძლო დონეზე აყენებდა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ოკუპირებულ ტერიტორიებზე დაშვების აუცილებლობას, რასაც მისიის მანდატი ითვალისწინებს.
- გრძელდებოდა მუშაობა **არაღიარების პოლიტიკის განმტკიცების**, რისკების ნიველირებისა და საზღვარგარეთ საოკუპაციო რეჟიმების უკანონო კონტაქტების აღკვეთის მიმართულებით.

ევროკავშირში გაწევრიანება

ევროკავშირის წევრობა ქვეყნის კონსტიტუციური ნორმაა და ის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ საკვანძო პრიორიტეტს წარმოადგენს. აღნიშნული საგარეო-პოლიტიკური ამოცანის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველო განაგრძობს თანმიმდევრულ სვლას გაწევრიანების გზაზე და დგამს ნაბიჯებს ევროკავშირის კანონმდებლობასთან მაქსიმალური ჰარმონიზაციის და ინსტიტუციური ინტეგრაციის მაღალი დონის მისაღწევად, მათ შორის, ასოცირების შეთანხმებიდან, ასევე ასოცირების დღის წესრიგიდან მომდინარე ვალდებულებების, ზოგადად, კოპენჰაგენის კრიტერიუმებთან თავსებადი რეფორმების გატარების გზით.

- **2022 წლის 3 მარტს საქართველომ ევროკავშირში გაწევრიანების განაცხადი გააკეთა,** რაც ევროკავშირში გაწევრიანების საგარეო-პოლიტიკური ამოცანის აღსრულებისკენ გადადგმული კონკრეტული ნაბიჯია. აღნიშნული ნაბიჯით, საქართველოს ხელისუფლებამ შეასრულა ქართველის ხალხის დაკვეთა და, ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე განაცხადის დაყენებით, მათ გაუხსნა ევროკავშირში გაწევრიანების რეალური პერსპექტივა. **2022 წლის 23 ივნისს ევროპული საბჭოს ისტორიულმა გადაწყვეტილებამ საქართველოს ევროპული პერსპექტივის აღიარების თაობაზე** საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებისკენ ფორმალურად გაუხსნა კარი და ჩვენი ურთიერთობები სრულიად ახალ ეტაპზე აიყვანა, ის ახალ ინსტიტუციურ ჩარჩოში მოაქცია. საქართველო გახდა ევროკავშირის გაფართოების პაკეტის ნაწილი, რაც ნიშნავს, რომ ქვეყნის პროგრესი 2023 წლიდან შეფასებული იქნება გაწევრიანების ე.წ. „კოპენჰაგენის“ კრიტერიუმების მიხედვით, ასოცირებული ტრიოს დანარჩენი ორი ქვეყანის და დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნების ანალოგიურად. ამავდროულად, გრძელდება მუშაობა, რომ საქართველო გახდეს გაწევრიანებისწინა ინსტრუმენტის (Pre-Accession Instrument) ბენეფიციარი.

- **ევროპული საბჭოს 2022 წ. 23 ივნისის გადაწყვეტილებისთანავე, საქართველომ წარმოადგინა კონკრეტული სამოქმედო გეგმა,** რითაც ცალსახად დადასტურდა ურყევი ნება, რომ საქართველო გააგრძელებდა აქტიურ მუშაობას ყველა იმ ვალდებულებაზე, რომელიც ჩვენი ქვეყნის ევროკავშირის გაწევრიანების მიზანს ემსახურება.

- **განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს ევროპული მომავლისადმი მკაფიო და პირდაპირი მხარდაჭერა, რომელიც ევროკავშირის ინსტიტუციებისა და წევრი ქვეყნების მაღალი რანგის ოფიციალური პირების საჯარო გამოსვლებსა თუ ორმხრივ შეხვედრებზე ჩანს.** ამ კუთხით, აღსანიშნავია: 1) მ.წ. 6 სექტემბერს საქართველოს **ასოცირების საბჭოს ერთობლივ პრეს-რელიზში ჩაიწერა, რომ საქართველოს და მისი მოქალაქეების მომავალი ევროკავშირშია;** 2) **ანალოგიური გზავნილი გააჟღერა ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა თავის ყოველწლიურ მოხსენებაში** ევროპარლამენტის წინაშე და აღნიშნა, რომ საქართველოს, [ისევე როგორც მოლდოვას, უკრაინისა და დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნების] გარეშე ევროკავშირი არ არის სრულყოფილი და რომ საქართველო ევროპული ოჯახის განუყოფელი ნაწილია. 3) **გერმანიის კანცლერმა ოლაფ შოლცმა,** ბერლინში, პარტიის კონგრესზე განაცხადა, რომ ის ევროკავშირის გაფართოების მომხრეა და **რომ ევროპის ხალხის ხმა მთელ ევროპაში უნდა ისმოდეს, ხმელთაშუა ზღვიდან ჩრდილოეთის ზღვამდე, ლისაბონიდან თბილისამდე და მის მიღმაც.**

- **30-31 აგვისტოს საგარეო საქმეთა მინისტრი სამუშაო ვიზიტით ეწვია ქ. პრაღას ევროკავშირის საგარეო საქმეთა არაფორმალური მინისტერიალის ე.წ. „გიმნიხის“ ფარგლებში** დაგეგმილი შეხვედრისთვის ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და ასოცირებული ტრიოს საგარეო საქმეთა მინისტრების მონაწილეობით.

- **ასევე, აღსანიშნავია ევროპარლამენტის რეზოლუცია „უსაფრთხოება აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში და ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის როლი“,** რომელიც, ქართულ მხარესთან და სხვა პარტნიორებთან ერთად თანამშრომლობით, პირველად შემუშავდა აღნიშნული თემის თაობაზე.

2022 წელს განხორციელდა არაერთი უმნიშვნელოვანესი ვიზიტი, მათ შორის:

- **17-18 მაისს** შედგა **საქართველოს პრემიერ-მინისტრის სამუშაო ვიზიტი ქ. ბრიუსელში,** რომლის დროსაც მან შეხვედრები გამართა ევროკავშირის ინსტიტუციების უმაღლეს პოლიტიკურ ხელმძღვანელ პირებთან და ყურადღება გამახვილდა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის საკითხებზე, ასევე, საქართველოსა და რეგიონში არსებულ უსაფრთხოების გამოწვევებზე უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე.

- **1-2 ივნისს,** საგარეო საქმეთა მინისტრი სამუშაო **ვიზიტით ეწვია ქ. ბრიუსელს, რომლის ფარგლებშიც ორმხრივი შეხვედრები გაიმართა ევროკომისრებთან** და **ევროპარლამენტის წევრებთან**.

- **20-21 ივლისს** შედგა ევროპარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის დელეგაციის ვიზიტი საქართველოში, რომელსაც კომიტეტის თავმჯდომარე დევიდ მაკალისტერი (ევროპის სახალხო პარტია) ხელმძღვანელობდა. დელეგაცია დაკომპლექტებული იყო ყველა მსხვილი პოლიტიკური ჯგუფის თითო წარმომადგენლით.

- **საგარეო საქმეთა კომიტეტის დელეგაციის გარდა, საქართველომ 10-14 აპრილს უმასპინძლა ევროპარლამენტის უსაფრთხოებისა და თავდაცვის ქვეკომიტეტის (SEDE) დელეგაციას,.**

- **6 სექტემბერს შედგა პრემიერ-მინისტრის სამუშაო ვიზიტი ქ. ბრიუსელში საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს მე-7 სხდომაში მონაწილეობის მიზნით, სადაც კიდევ ერთხელ ხაზი გაესვა საქართველოს მიერ მიღწეულ პროგრესს ევროკავშირთან პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური და დარგობრივი ინტეგრაციის მიმართულებით.**

- **26-30 სექტემბერს საქართველოს სამუშაო ვიზიტით ეწვია ევროკავშირის საბჭოს აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების სამუშაო ჯგუფი (COEST).**

- **6 ოქტომბერს პრემიერ-მინისტრმა მონაწილეობა მიიღო ქ. პრაღაში გამართულ ევროპის პოლიტიკური გაერთიანების პირველ სამიტში და თანათავმჯდომარეობა გაუწია მრგვალი მაგიდის შეხვედრას ევროპის კონტინენტზე უსაფრთხოებისა და მშვიდობის ხელშეწყობის თემაზე.** ეს არის ახლადდაფუძნებული პლატფორმა, რომლის იდეა საფრანგეთის პრეზიდენტს ეკუთვნის და გამიზნულია ევროპისთვის საჭირბოროტო საკითხებზე ევროპელ ლიდერებს შორის აზრთა და პოზიციების ურთიერთგაცვლისთვის.

- **გრძელდება ევროკავშირთან აქტიური თანამშრომლობა უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში. ევროკავშირის სტრატეგიული კომპასის თანახმად, საქართველო ევროკავშირის ერთ-ერთი პრიორიტეტული პარტნიორია მედეგობის გაძლიერების თვალსაზრისით.**

- **აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში, ევროკავშირმა პირველად საქართველოსთან, მოლდოვასთან და უკრაინასთან მოაწერა ხელი შეთანხმებას ევროპის სამშვიდობო ინსტრუმენტის (EPF) ფარგლებში თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის თაობაზე.**

- **გრძელდება ასოცირების და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების წარმატებული განხორციელება.** ამ ეტაპისთვის, **განხორციელდა ასოცირების შეთანხმების ფარგლებში განსაზღვრული პირობების 50%-მდე. შეთანხმდა 2021-2027 წწ. ასოცირების დღის წესრიგი,** რომელიც პოლიტიკური, ეკონომიკური და სექტორული ინტეგრაციის მიმართულებებით ამბიციურ **რეფორმებს ითვალისწინებს და თანხვედრაშია 19 აპრილის შეთანხმებისა და ევროკომისიის მოსაზრებაში მოცემულ 12 პრიორიტეტის საკითხებთან.**

- **ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის პარალელურად, საქართველოს მიზანია მაქსიმალური ეკონომიკური ინტეგრაცია ევროკავშირში, რათა ისარგებლოს**

ევროკავშირის ე.წ. „ოთხი თავისუფლებით“. საგულისხმოა, რომ ამ მიმართულებით იდგმება კონკრეტული ნაბიჯები: **საქართველოსთვის წელს გაიხსნა ევროკავშირის საჯარო შესყიდვების ბაზარი, რაც შესაძლებელი გახდა საქართველოს მიერ ევროკავშირის კანონმდებლობასთან წარმატებული დაახლოებით; 20 სექტემბერს საქართველომ წარადგინა განაცხადი "ერთიანი ევროს გადახდის სისტემაში" (SEPA) გაწევრიანებაზე** და ამჟამად მიმდინარეობს ჩვენი განაცხადის დამუშავება. ასევე სულ ახლახანს **საქართველომ მიმართა ევროკომისიას განაცხადით ევროკავშირის თავისუფალი როუმინგის სივრცეში გაწევრიანების თაობაზე.**

- **ევროკავშირთან ეკონომიკური და სექტორული ინტეგრაციის კონტექსტში, პრიორიტეტი ენიჭება ევროკავშირის ჩარჩო პროგრამებსა და სპეციალიზირებულ სააგენტოებთან თანამშრომლობას.** საქართველო **უკვე ჩაერთო „შემოქმედებითი ევროპისა“ და „ჰორიზონტი ევროპის“ განახლებულ პროგრამებში,** რაც გვეხმარება ევროკავშირის საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურულ სივრცეში ინტეგრაციაში. **საქართველო კვლავ პირველ ათეულშია პროგრამა „ერასმუს +“-ის პროგრამის ბენეფიციართა შორის** და, შესაბამისად, ჩვენი მიზანია **გავხდეთ ასოცირებული წევრი**, რისთვისაც მიმდინარეობს ქვეყნის მზაობის შეფასება. **წელს საქართველო გახდა ევროკავშირის საბაჟო და საგადასახო პროგრამა „ფისკალის“ ასოცირებული ქვეყანა** და ევროკომისიას მივმართეთ ერთიანი ბაზრის პროგრამაში ჩართვის წინადადებით. **ვაგრძელებთ აქტიურ თანამშრომლობას ევროკავშირის ისეთ სააგენტოებთან, როგორიცაა „ფრონტექსი“, „ევროპოლი“ და „ევროჯასტი“;**

- **კანდიდატის სტატუსის მქონე სხვა ქვეყნებთან გაწევრიანების გზაზე მათ მიერ შეძენილი გამოცდილების გაზიარების, საუკეთესო პრაქტიკის შესწავლის მიზნით უკვე განხორციელდა სამუშაო ვიზიტები** ბოსნია-ჰერცეგოვინაში, მონტენეგროში, ჩრდილოეთ მაკედონიასა და ალბანეთში.

- **საგარეო საქმეთა სამინისტროს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის მეშვეობით გრძელდება აქტიური მუშაობა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების და მხარდაჭერის განმტკიცების მიზნით, რისთვისაც წელს 570 ღონისძიება განხორციელდა ქვეყნის მასშტაბით. მათში მონაწილეობა 18 500-მდე სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიის წარმომადგენელმა მიიღო.** საანგარიშო პერიოდში ასევე მომზადდა და გავრცელდა სხვადასხვა სახის საინფორმაციო-ანალიტიკური მასალა, **კერძოდ, 8 000-ზე მეტი ბეჭდური თემატური ლიტერატურა, 41 სოც-მედია პროდუქტი, რომლებმაც ჯამში 1,343,499 ნახვა დააგროვა.** მასალები ასევე ითარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

ნატო-საქართველოს ურთიერთობა

მიმდინარე წლის განმავლობაში დინამიურად ვითარდებოდა <u>**ნატო-საქართველოს თანამშრომლობა.**</u> საქართველო **ეფექტიანად იყენებდა ნატოში ინტეგრაციის ყველა ინსტრუმენტს:** ნატო-საქართველოს კომისიას (NGC), წლიურ ეროვნულ პროგრამასა (ANP) და ნატო-საქართველოს არსებით პაკეტს (SNGP).

- საქართველოს პრემიერ მინისტრმა მონაწილეობა მიიღო **ნატოს მადრიდის სამიტის ფარგლებში** გამართულ ჩრდილოატლანტიკური საბჭოს სპეციალურ შეხვედრაში პარტნიორებთან, რაც მკაფიოდ ადასტურებს ალიანსისთვის ასპირანტი საქართველოს მნიშვნელობას და ჩვენი ქვეყნის ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის კურსისადმი ნატო-ს მტკიცე მხარდაჭერის გამოხატულებაა. **სამიტზე** დამტკიცდა საქართველოსთვის „საჭიროებებზე მორგებული მხარდაჭერის პაკეტი“, რაც აღნიშნული სამიტის ხელშესახები შედეგია. **დოკუმენტი კიდევ უფრო გააძლიერებს საქართვლოს თავდაცვით შესაძლებლობებსა და მდგრადობას.**

- წლის განმავლობაში გაიმართა საქართველოს **პრემიერ მინისტრის, პარლამენტის თავმჯდომარის და ჩემი ვიზიტები** ნატო-ს შტაბ-ბინაში. საქართველოში იმყოფებოდნენ ნატო-ს გენერალური მდივნის თანაშემწის მოადგილე უსაფრთხოების ახალი გამოწვევების საკითხებში ჯეიმს აპატურაი და ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ხავიერ კოლომინა, რომლის ვიზიტიც საქართველოში ორჯერ გაიმართა.

- ალიანსის **ახალ სტრატეგიულ კონცეფციაში დადასტურებულია ალიანსის ურყევი მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ და აღიარებულია საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პერსპექტივა.**

- მიმდინარე წლის იანვრიდან დაიწყო **2022 წლის წლიური ეროვნული პროგრამის (ANP)** შემუშავების პროცესი, რომელიც დამტკიცდა პრემიერ-მინისტრის მიერ.

- **ნატო-საქართველოს კომისიის** ფარგლებში გაიმართა სხდომები მუდმივი წარმომადგენლების დონეზე, სადაც მოხდა ქართული მხარის მიერ 2021 წლის წლიური ეროვნული პროგრამის (ANP) შეფასების დოკუმენტის და 2022 წლის წლიური ეროვნული პროგრამის წარდგენა.

ორმხრივი ურთიერთობები

მიმდინარე წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სხვადასხვა რეგიონის ქვეყნებთან **ორმხრივი ურთიერთობების** ფარგლებში.

ტრადიციულად, მაღალი ინტენსივობით გამოირჩეოდა საქართველოს ურთიერთობები მთავარ სტრატეგიულ პარტნიორთან, **ამერიკის შეერთებულ შტატებთან.**

- **2022 წელს აღინიშნა საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 30 წლის იუბილე.** საქართველო აფასებს აშშ-ის მხრიდან სამი ათწლეულის განმავლობაში აღმოჩენილ მხარდაჭერასა და დახმარებას მრავალი საკვანძო მიმართულებით და

აგრძელებს მუშაობას თანამშრომლობის კიდევ უფრო განმტკიცებისა და გაღრმავების მიზნით.

- 2022 წელს **თანამშრომლობა აშშ-ს მთავრობის აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებთან, ასევე ბიზნესებთან, წამყვან ანალიტიკურ ცენტრებთან, არასამთავრობო სექტორთან, მედიასთან, კვლევით ინსტიტუტებთან და აკადემიურ საზოგადოებასთან გააქტიურდა და კიდევ უფრო გაძლიერდა.**
- ნიშანდობლივია, რომ **აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა, ენტონი ბლინკენმა, ისევე როგორც სახელმწიფო დეპარტამენტის სხვა მაღალი დონის წარმომადგენლებმა, მეზობლების მიმართ რუსეთის აგრესიული პოლიტიკისა და საერთაშორისო წესრიგის შერყევის ფაქტებზე საჯაროდ საუბრისას, არაერთხელ ახსენა რუსეთის მეირ საქართველოს რეგიონების ოკუპაცია და მხარი დაუჭირა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, სუვერენიტეტსა და ქვეყნის ევროატლანტიკურ ინტეგრაციას.** ამასთან, 2008 წლის საქართველოს წინააღმდეგ რუსული აგრესიის მე-14 წლისთავთან დაკავშირებით, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა გააკეთა საქართველოს **მხარდამჭერი ძალზედ მკაფიო განცხადება.**
- **ნიშანდობლივია, რომ 2022 წელს, საქართველოში განხორციელდა აშშ-ის აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალი დონის წარმომადგენლების არაერთი მნიშვნელოვანი ვიზიტი. 18-19 მაისს**, შედგა აშშ-ის **სახელმწიფო დეპარტამენტის მრჩევლის, დერეკ შოლეს ვიზიტი,** საქართველოს ორჯერ ეწვია ადამიანის უფლებებისა და შრომის საკითხებში **აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე კარა მაკდონალდი**, **17 ივნისს**, რეგიონალური ტურის ფარგლებში, საქართველოში შედგა ევროპისა და **ევრაზიის საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის კარენ დონფრიდის** ვიზიტი; 5 სექტემბერს, თბილისს კვლავ ეწვია ადამიანის უფლებებისა და შრომის საკითხებში აშშ-ის **სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე კარა მაკდონალდი; 12 სექტემბერს,** გაიმართა სახელმწიფო დეპარტამენტის კავკასიის მოლაპარაკებების საკითხებში უფროსი მრჩევლისა და ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში აშშ-ის დელეგაციის ხელმძღვანელის **ფილიპ რიკერის** ვიზიტი; ხოლო სულ ახლახან, **7 ოქტომბერს**, გაიმართა **შეიარაღების კონტროლისა და საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში სახელმწიფო მდივნის მოადგილის ბონი ჯენკინსის** ვიზიტი.

გარდა ვიზიტებისა, მნიშნელოვანი იყო სხვა ნაბიჯები ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავების კუთხით.

- **მარტში, შედგა აშშ-საქართველო-ევროკავშირის სამმხრივი დიალოგი**.
- 2022 წელსაც გრძელდებოდა აქტიური პარტნიორობა **თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში.** მათ შორის, საქართველოს თავდაცვისა და შეკავების გაძლიერების ინიციატივის ფარგლებში (Georgia’s Defense and Deterrence Enhancement Initiative (GDDEI)). **ამავე კონტექსტში, აღსანიშნავია საქართველოში გამართული აშშ-საქართველოს მრავალეროვნული სწავლება** Noble Partner 2022, რომელშიც 20 ქვეყნის 2 400 სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობდა.
- აღსანიშნავია, რომ წლევანდელი გაერო-ს გენ-ასამბლეის ფარგლებში, **აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოწვევით,** უკრაინელ კოლეგასთან ერთად, **საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მონაწილეობა მიიღო ტრანს-**

ატლანტიკური ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაში. ღონისძიებას, ასევე ესწრებოდნენ ნატო-ს გენ მდივანი, იენს სტოლტენბერგი და საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი ჯოზეფ ბორელი.

- აქტიური წელი იყო **აშშ-ის კონგრესთან თანამშრომლობის მიმართულებით, როგორც ორმხრივი ვიზიტების, ასევე, საკანონმდებლო დონეზე აშშ-ის მხარდაჭერის განმტკიცების კუთხით.** მაქსიმალურად იქნა შენარჩუნებული საქართველოსადმი მხარდამჭერი ფორმულირებები, მათ შორის, მ.წ. 27 აპრილს აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის მიერ დამტკიცებულ ორპარტიულ კანონპროექტში, **„საქართველოს მხარდამჭერის აქტი“** (GSA), რომელიც საქართველოს მეგობართა ჯგუფის თანათავმჯდომარეების მიერ აშშ-ის წარმომადგენელთა პალატაში მ.წ. 8 თებერვალს ხელახლა იქნა ინიცირებული. ასევე, მნიშვნელოვანი იყო აშშ-ის ბიუჯეტში **სახელმწიფო, საგარეო ოპერაციებისა და მასთან დაკავშირებული პროგრამების (SFOPs)** შესახებ კანონპროექტი, **აშშ-ის ეროვნული თავდაცვის ავტორიზაციის აქტის (NDAA) პროექტი**, რომელიც 2023 ფისკალური წლისთვის აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის პოლიტიკასა და ბიუჯეტის პრიორიტეტებს განსაზღვრავს.
- **საქართველოსა და აშშ-ის შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების, მათ შორის სავაჭრო შეთანხმების საკითხზე მოლაპარაკებების დაწყების მიზნით, გრძელდება მუშაობა აშშ-ის სავაჭრო წარმომადგენლის ოფისის, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, ასევე ბიზნესისა და საექსპერტო წრეების წარმომადგენლებთან.**
- აღსანიშნავია, რომ **მ.წ. მარტში, საქართველოში ვიზიტით იმყოფებოდა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ადმინისტრატორის მოადგილე, ისობელ კოულმანი.**
- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში <u>**გრძელდებოდა აქტიური ურთიერთობა ევროპის ქვეყნებთან,**</u> რასაც ქვეყნისათვის, ახალი გეოპოლიტიკური რეალობის ფონზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.
- საანგარიშო პერიოდში უკვე გაიმართა და წლის ბოლომდე დაგეგმილია ევროპის ქვეყნებთან **უმაღლესი და მაღალი დონის** ვიზიტები.
- **საერთაშორისო პლატფორმების ფარგლებში** შედგა **საგარეო საქმეთა მინისტრის ორმხრივი შეხვედრები თითქმის ყველა ევროპელ კოლეგასთან.**
- **სამინისტროს ხელმძღვანელობის ჩართულობით პოლიტიკური კონსულტაციების** ფორმატი პროაქტიულად იქნა გამოყენებული ევროპელ პარტნიორებთან საქართველოს დღის წესრიგის პრიორიტეტულ საკითხებზე მსჯელობისთვის [ავსტრია, ბელგია, ირლანდია, ლიეტუვა, ნიდერლანდები, რუმინეთი, სლოვაკეთი, ფინეთი, ჩეხეთი, უკრაინა]. ასევე, განხორციელდა **საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრისა და საგარეო საქმეთა მინისტრის** სატელეფონო საუბრები ევროპელ კოლეგებთან.
- **გერმანიის** პოლიტიკური მხარდაჭერის უმნიშვნელოვანესი გზავნილი იყო მზაობა, დაეხმაროს საქართველოს ევროკავშირისაკენ მიმავალ გზაზე, რაც 14

სექტემბერს, **საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბერლინში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში ფედერალურმა კანცლერმა დაადასტურა, ხოლო** საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს მიეცა **შესაძლებლობა გაეგრძელებინა** ორმხრივი დიალოგი თავის გერმანელ კოლეგასთან, რომელიც მანამდე არაერთი საერთაშორისო ფორუმის ფარგლებში აქტიურად წარიმართა. მნიშვნელოვანი გზავნილი იყო **ბუნდესთაგის 28 აპრილის რეზოლუცია,** რომელიც უკრაინასთან ერთად, საქართველოსა და მოლდოვას ევროპულ გზაზე მხარდაჭერას ადასტურებს და ხაზს უსვამს საქართველოსა და მოლდოვას მედეგობის განმტკიცების აუცილებლობას.

- გაგრძელდა აქტიური ურთიერთობების დინამიკა **საფრანგეთთან.** მნიშვნელოვანი იყო 29 ივნისს ნატოს სამიტის ფარგლებში, მადრიდში საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი **ღარიბაშვილსა და საფრანგეთის პრეზიდენტს ემანუელ მაკრონს** შორის გამართული შეხვედრა, რის ფარგლებშიც საქართველოსთვის ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივის მინიჭება და ორ ქვეყანას შორის არსებული პარტნიორული ურთიერთობები იქნა განხილული. 30 სექტემბერს, კონტინენტური ევროპის საკითხებში საფრანგეთის პრეზიდენტის დიპლომატიურ მრჩეველთან და სამხრეთ კავკასიაში საფრანგეთის სპეციალურ წარმომადგენელთან ჩემი შეხვედრის დროს, მივიღე მკაფიო გზავნილები საფრანგეთის მხრიდან საქართველოს უპირობო მხარდაჭერის თაობაზე.

- **ქართულ-გერმანულ-ფრანგული სამკუთხედის ფარგლებში თბილისში გამართული სამმხრივი კონსულტაციების მორიგი რაუნდი განსაკუთრებული დატვირთვის მატარებელი იყო** გერმანიის დიდი შვიდეულის თავმჯდომარე ქვეყნის სტატუსისა და საფრანგეთის ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარეობის გათვალისწინებით.

- გაგრძელდა სტრატეგიული პარტნიორობის გაღრმავება **გაერთიანებულ სამეფოსთან**. ნატო-ს სამიტის ფარგლებში შედგა **ორი ქვეყნის პრემიერ-მინისტრების შეხვედრა.** თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროს გასაძლიერებლად გადადგმული ნაბიჯი იყო ბრიტანული მხარის გადაწყვეტილება კიბერუსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის ახალი ფაზის დასაწყებად დახმარების 5-მილიონიანი პაკეტის გამოყოფა.

- უმნიშვნელოვანესი იყო **იტალიის მხრიდან** მკაფიო მხარდაჭერის გზავნილი საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით, რაც 6-9 ივნისს, იტალიის რესპუბლიკაში **საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო ვიზიტის ფარგლებში** იტალიის პრემიერ-მინისტრმა გააჟღერა. იტალიასთან მზარდი თანამშრომლობის კიდევ ერთი დასტურია მინისტრებს შორის გამართული ორმხრივი შეხვედრის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება საქართველო-იტალიის **მაღალი დონის დიალოგის დაფუძნების შესახებ. დარწმუნებული ვარ რომ ნაყოფიერი თანამშრომლობა ჩამოყალიბდება იტალიის ახალ მთავრობასთანაც.**

- გაგრძელდა აქტიური თანამშრომლობის დინამიკა **ესპანეთთან.** საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე გაიმართა შეხვედრები ესპანელებთან მარაქეშსა და პრაღაში.

- 2022 წელს საგრძნობლად გააქტიურდა თანამშრომლობა **ნორდიული რეგიონის** ქვეყნებთან. **დანიის** სამეფოსთან ორმხრივი ურთიერთობები თვისობრივად ახალ საფეხურზე გადავიდა, რისი მკაფიო დასტურიცაა დანიის დიპლომატიური წარმომადგენლობის საქართველოში გახსნა და პირველი რეზიდენტი ელჩის დანიშვნა. აღსანიშნავია, რომ 17 ოქტომბერს, თბილისში **ნორვეგიის** სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი და ნორვეგიის საელჩოს ოფიციალური გახსნა. **შვედური მხარის** გადაწყვეტილებაა, ახლო მომავალში, **„შვედეთის ელჩების კონფერენციის“** თბილისში ჩატარება, რაც ქართულ-შვედური მჭიდრო ურთიერთობების კიდევ ერთი ნათელი გამოხატულებაა.

- **ირლანდიასთან** მზარდი თანამშრომლობისა და საქართველოს მხარდაჭერის კონსოლიდაციის კიდევ ერთი დადასტურება იყო ქვეყნის სენატის მიერ მიღებული მორიგი რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს ევროკავშირს, მიანიჭოს საქართველოს კანდიდატი ქვეყნის სტატუსი.

- აქტიურ დინამიკას დაუბრუნდა **ბელგიისა** და **ნიდერლანდების** სამეფოებთან თანამშრომლობა. გამორჩეული იყო ჩემი ვიზიტი ჰააგაში, სადაც ნიდერლანდების მხარემ კიდევ ერთხელ დაადასტურა მხარდაჭერა საქართველოს ევროპული ინტეგრაციის გზაზე.

- აღსანიშნავია ასევე გააქტიურებული ურთიერთობები **ავსტრიულ მხარესთან.** საქართველოს პრემიერ-მინისტრის პირველი ოფიციალური ვიზიტი ავსტრიის რესპუბლიკაში.

ტრადიციულად განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობების შემდგომ განმტკიცებას **აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან.**

- ურთიერთობათა აქტიური დინამიკა შენარჩუნდა **ვიშეგრადის ქვეყნებთან**. 2022 წლის 17 მარტს საქართველოს ეწვია **პოლონეთის** პრემიერ-მინისტრი, ხოლო 29-30 მარტს საგარეო საქმეთა მინისტრი, ეუთო-ს თავმჯდომარეობის რანგში. 5 მაისს განხორციელდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვიზიტი პოლონეთში, უკრაინის დონორთა კონფერენციაში მონაწილეობის ფარგლებში. მნიშვნელოვნად გააქტიურდა დიალოგი და მაღალი დონის კონტაქტები **ჩეხეთთან,** რომელიც 2022 წლის ივლისიდან ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანაა. 14 აპრილს, განხორციელდა ჩემი ორმხრივი ვიზიტი. გრძელდებოდა თანამშრომლობის შემდგომი გაფართოება **სლოვაკეთთან, უნგრეთთან, ბალტიის ქვეყნებთან.**

- უკრაინაში მიმდინარე მოვლენების ფონზე, განსაკუთრებული მნიშვენლობა შეიძინა **შავი ზღვის** რეგიონმა არა მხოლოდ მისი უსაფრთხოების, არამედ სავაჭრო-ეკონომიკური პოტენციალის სრულად ათვისების თვალსაზრისით. ამ კონტექსტში, მისასალმებელია **რუმინეთთან** ორმხრივი ურთიერთობების მზარდი

დინამიკა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, 2022 წლის 11-12 ოქტომბერს, საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტს ბუქარესტში, რომლის ფარგლებშიც გაფორმდა **სტრატეგიული პარტნიორობის** დამფუძნებელი დეკლარაცია.

- ევროპული ინტეგრაციის გზაზე მიღწეული პროგრესისა და საერთო გამოწვევების გათვალისწინებით, გააქტიურდა თანამშრომლობა **ბალკანეთის** ქვეყნებთან. მისასალმებელია დასავლეთ ბალკანელ კოლეგებთან (**ალბანეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, მონტენეგრო, ჩრდილოეთ მაკედონია**) სამინისტროს მიერ წარმოებული რეგულარული დიალოგი, მათ შორის, აღსანიშნავია მინისტრის მოადგილეთა დონეზე განხორციელებული ვიზიტები თუ საერთაშორისო ფორუმების ფარგლებში გამართული ორმხრივი შეხვედრების ინტენსიფიკაცია.

- **უკრაინაში** რუსეთის სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესიის დაწყების დღიდან, საქართველო მტკიცედ განაგრძობს უკრაინის მხარდაჭერას როგორც პოლიტიკური და დიპლომატიური, ასევე ჰუმანიტარული მიმართულებით. უკრაინისადმი სოლიდარობა გამოიხატება **არა მხოლოდ ორმხრივ ფორმატში პრაქტიკული მხარდაჭერით, არამედ საქართველოს მტკიცე პოზიციებით, იქნება ეს რეზოლუციების თანა-ავტორობა, თანა-სპონსორობა, თუ განცხადებებზე მიერთება ყველა საერთაშორისო პლატფორმის ფარგლებში.** ომის დაწყების დღიდან, საერთაშორისო ორგანიზაციებში უკრაინისადმი ჩვენი მხარდამჭერი განცხადებების, დეკლარაციების და გადაწყვეტილებების რაოდენობა 400-ს აჭარბებს. კერძოდ, საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში, საქართველომ მხარი დაუჭირა/დაასპონსორა 55 რეზოლუციას, გადაწყვეტილებასა თუ დეკლარაციას. გააკეთა 184 ეროვნული განცხადება, მიუერთდა ევროკავშირის 139 განცხადებას, 42 სხვა ერთობლივ განცხადებასა და სხვა სახის 34 ინიციატივას.

- ამასთან, ომის დაწყების დღიდან, საქართველო მნიშვნელოვან ჰუმანიტარულ და ფინანსურ დახმარებას უწევს უკრაინას, მათ შორის საქართველოში ჩამოსულ 28000-ზე მეტ უკრაინელს, სხვადასხვა სოციალური პროგრამისა და სკოლებში უკრაინულ ენოვანი სექტორების ამოქმედების გზით. ასევე, მოხდა უკრაინელი მცირეწლოვანი ბავშვებისა და მათი თანმხლები პირების - სულ 52 ადამიანი - საქართველოში მოკლევადიანი პერიოდით (20 ივლისიდან 14 აგვისტოს ჩათვლით) ჩამოყვანა.

- **2022 წელს, საქართველომ, პრეზიდენტის დონეზე, მონაწილეობა მიიღო ყირიმის საერთაშორისო პლატფორმის რიგით მეორე სამიტში და მიუერთდა სამიტის ფარგლებში მიღებულ ერთობლივ განცხადებას.** როგორც მოგეხსენებათ საქართველოს პრემიერ მინისტრი მონაწილეობას იღებდა ყირიმის პლატფორმის დამფუძნებელ შეხვედრაში. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე მონაწილეობას მიიღებს ყირიმის პლატფორმის პირველ საპარლამენტო სამიტში, რომელიც ოქტომბერში, ზაგრებში გაიმართება.

<u>**სამხრეთელ მეზობელ ქვეყნებთან მიმართებაში**</u> **საქართველოს საგარეო პოლიტიკა ორიენტირებულია დაბალანსებულ, პარტნიორულ ურთიერთობებზე და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობაზე.** საქართველოს მიზანია რეგიონში

მშვიდობის, სტაბილურობის, კეთილმეზობლობისა და დინამიური განვითარების ხელშეწყობა, რა მიმართულებითაც ინტენსიურად ვმუშაობთ. ასევე, როგორც პრემიერის მიერ გენანსამბლეაზე გამოსვლის დროს გაჟღერდა, აუცილებელია ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას რათა სამხრეთ კავკასიის რეგიონი გადაიქცეს ახალი შესაძლებლობებისა და ეკონომიკური ზრდის რეგიონად.

- **მნიშნელოვანი იყო საქართველოს „მშვიდობიანი სამეზობლოს ინიციატივის“ კუთხით ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ნდობის აღდგენას.** ინიციატივას დადებითი გამოხმაურება მოჰყვა აზერბაიჯანული და სომხური მხრიდან, გაიმართა საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა თბილისში. აღნიშნული იდეა კვლავ გააჟღერა საქართველოს პრემიერ მინისტრმა გაეროს გენანსამბლეაზე გამოსვლის დროს. ეს ინიციატივა და მისი იმპლემენტაცია მნიშვნელოვანია რეგიონისთვის და მის წარმატებაში პოზიტიური როლი უნდა ითამაშოს ჩვენი დასავლელი პარტნიორების ჩართულობამ. მაღალი დონის შეხვედრებზე განიხილება ამ იდეის განხორციელების პრაქტიკული ასპექტები.

- **თურქეთის** მიმართულებით გრძელდება აქტიური თანამშრომლობა სტრატეგიული ურთიერთობების ფარგლებში, გაიმართა უმნიშვნელოვანესი შეხვედრები პრემიერ მინისტრის და საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე. ასევე გაიმართა სამუშაო ვიზიტები მინისტრის მოადგილეების დონეზე. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მიმდინარე წელს პოლიტიკური კონსულტაციები ორი ქვეყნის საგარეო უწყებებს შორის განახლდა, შეხვედრები ჩატარდა როგორც თურქეთში, ასევე საქართველოში. პირადად ვეწვიე თურქეთს მ.წ. 28 ივლისს, სადაც გავმართე მაღალი დონის შეხვედრები როგორც აღმასრულებელი, ასევე საკანონმდებლო ორგანოების წარმომადგენლებთან.
- აქტიურად განიხილება ორ ქვეყანას შორის მაღალი დონის სტრატეგიული თანამშრომლობის საბჭოს მუშაობის განახლება, ასევე საქართველოში თურქეთის პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტის შესაძლებლობა.

- **აზერბაიჯანის** მიმართულებით, ორ ქვეყანას შორის არსებულ სტრატეგიულ პარტნიორობაზე დაყრდნობით, გრძელდება თანამშრომლობის გაღრმავება მთელი რიგი მიმართულებებით. **2022 წელს, საგარეო საქმეთა მინისტრი ეწვია ქ. ბაქოს რეგიონალური ვიზიტის ფარგლებში,** სადაც შეხვედრები გამართა მაღალ და უმაღლეს დონეზე, მათ შორის პრეზიდენტ ალიევთან. აზერბაიჯანი და საქართველო დიდ როლს ანიჭებენ მათზე გამავალი სატრანსპორტო და საკომუნიკაციო დერეფნების მიმზიდველობის ზრდას და აქტიურად თანამშრომლობენ ამ მიმართულებით. ახალი გეოპოლიტიკური რეალიების გათვალისწინებით, **მნიშვნელოვნად გაიზარდა შუა დერეფნის გავლით ტვირთების გადაზიდვების მნიშვნელობა. ინტენსიურად მიმდინარეობს კომუნიკაცია ამ მიმართულებით აზერბაიჯანულ და თურქულ მხარეებთან.** განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს **საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის სამთავრობათაშორისი ეკონომიკური თანამშრომლობის კომისიის მორიგი მე-8 სხდომის გამართვა ქ. ბაქოში,** რომელსაც თანა თავმჯდომარეობდა საქართველოს პრემიერ-მინისტრი, მორიგი სხდომა უკვე დაგეგმილია თბილისში.

- აქტიურად მიმდინარეობდა ვიზიტების გაცვლა **სომხეთის რესპუბლიკასთან. 2021 წლის 8-9 სექტემბერს, სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ნიკოლ ფაშინიანი ხელმეორედ არჩევის შემდეგ პირველი ოფიციალური ვიზიტით საქართველოს ეწვია**. ამასთან, **2021 წლის 9 ოქტომბერს, გაიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის სამუშაო ვიზიტი სომხეთის რესპუბლიკაში, ხოლო 2021 წლის 19-20 დეკემბერს, გაიმართა საქართველოსა და სომხეთს შორის სამთავრობათაშორისი ეკონომიკური კომისიის რიგით მე-11 სხდომა,** რომელსაც თანა თავმჯდომარეობდნენ ორი ქვეყნის პრემიერ-მინისტრები.

- **2022 წლის 29 მარტს, გაიმართა სომხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის არარატ მირზოიანის სამუშაო ვიზიტი საქართველოში, ხოლო 2022 წლის 26-27 აპრილს შედგა ჩემი ოფიციალური ვიზიტი სომხეთის** რესპუბლიკაში.

საქართველოს საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი კვლავ უკავია **აღმოსავლეთ** და **სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასთან** ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების გაღრმავებას. რეგიონი საქართველოსთვის განსაკუთრებით სავაჭრო-ეკონომიკური მიმართულებით არის მნიშვნელოვანი.

საქართველოს, ტრადიციულად ინტენსიური ურთიერთობები აქვს რეგიონის წამყვანი ეკონომიკების მქონე ქვეყნებთან: **ჩინეთი, კორეის რესპუბლიკა, ინდოეთი და იაპონია**, ასევე, **ცენტრალური აზიის** ეკონომიკური თვალაზრისით ძლიერ ქვეყნებთან: **ყაზახეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი.**

განსაკუთრებული როლი ენიჭება ურთიერთობებს წყნარი ოკეანის რეგიონის ორ წამყვან ქვეყანასთან: **ავსტრალიასა** და **ახალ ზელანდიასთან**, მათ შორის აღნიშნულ რეგიონში არაღიარების პოლიტიკის განმტკიცების ხელშეწყობის ფარგლებში.

<u>აზიისა და ოკეანეთის ქვეყნების მიმართულებით,</u> საანგარიშო პერიოდში მნიშნელოვანი იყო:

- საქართველოს პრემიერ მინისტრის ოფიციალური ვიზიტი ცენტრალური აზიის სახელმწიფოებში - **უზბეკეთში**, **თურქმენეთში** და **ყაზახეთში** (2022წ. ივლისი, ქრონოლოგიურად). ცენტრალური აზიის ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკურ, ტრანსპორტის, ლოგისტიკის და სხვა სფეროებში თანამშრომლობის განვითარების მიზნით მთელი რიგი ორმხრივი დოკუმენტების ხელმოწერა. ვიზიტების ფარგლებში ჩემი ორმხრივი შეხვედრების გამართვა სამივე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებთან.
- გაერო-ს გენერალური ასამბლეის 77-ე სესიის მაღალი დონის კვირეულის ფარგლებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის შეხვედრა **ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის** სახელმწიფო მრჩეველთან, საგარეო საქმეთა მინისტრ **ვან ისთან.**
- გაეროს მაღალი დონის კვირეულის ფარგლებში ჩემი ორმხრივი შეხვედრები **კირიბატის, მალდივების, სოლომონის კუნძულების, სინგაპურის, ტიმორ-ლესტეს** და **ყირგიზეთის** საგარეო საქმეთა მინისტრებთან.

- ნატოს მინისტერიალის ფარგლებში, საგარეო საქმეთა მინისტრის შეხვედრა იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრთან **იოშიმასა ჰაიაშისთან** (7 აპრილი, 2022 წ.);

- საქართველო-**ყაზახეთის** მთავრობათაშორისი ეკონომიკური თანამშრომლობის კომისიის რიგით მე-11 სხდომის ჩატარება;

- **კორეის რესპუბლიკის** პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენლის ხელმძღვანელობით განხორციელებული ვიზიტი საქართველოში.

- ინდოეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრის, **მინაქში ლექის** ვიზიტი საქართველოში (10-11 ოქტომბერი, 2022 წ.);

- მალდივის რესპუბლიკის დელეგაციის ვიზიტი საქართველოში (UNICEF-ის ორგანიზებით);

აზიისა და ოკეანეთის რეგიონის ქვეყნებთან პოლიტიკური დიალოგის კიდევ უფრო გაღრმავების მიზნით, საანგარიშო პერიოდში საგარეო უწყებათა დონეზე ორმხრივი პოლიტიკური კონსულტაციები გაიმართა: **ახალ ზელანდიასთან**, **ინდოეთსა** და **ტაჯიკეთის რესპუბლიკასთან;**

საანგარიშო პერიოდში აქტიურად გაგრძელდა მუშაობა **ახლო აღმოსავლეთის რეგიონში** საქართველოს მეგობარ ქვეყნებთან ორმხრივი თანამშრომლობის გამყარების კუთხით, განსაკუთრებით ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების მიმართულებით. რეგიონის პოლიტიკური და ეკონომიკური პოტენციალის გათვალისწინებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახლო აღმოსავლეთში ქვეყნის ხილვადობის გაზრდა, ქმედითი ნაბიჯების გადადგმა სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გაღრმავების, მათ შორის საექსპორტო არეალის გაფართოების, ტურისტებისა და ინვესტიციების სტაბილური მოზიდვისათვის.

ყურის ქვეყნების მზარდი სავაჭრო-ეკონომიკური და საინვესტიციო პოტენციალის გათვალისწინებით, ყურადღება ეთმობა რეგიონთან თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებას ქართული პროდუქციისთვის პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმების მოპოვების გზით. რეგიონის ტურისტული პოტენციალის სრული ათვისების მიზნით ხელი უნდა შევუწყოთ პირდაპირი საჰაერო მიმოსვლის გაზრდას რეგიონის ქვეყანასთან. პარალელურად ძალისხმევა მიმართულია საქართველოში ყურის ქვეყნებიდან და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან რეზიდენტი დიპლომატიური წარმომადგენლობების გაფართოების პროცესისკენ. ამ მხრივ აღსანიშნავია საანგარიშო პერიოდში განხორციელებული შემდეგი ღონისძიებები:

- ორმხრივი ურთიერთობების შემდგომი განვითარების მიმართულებით მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს მ. წ. ივნისში **საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვიზიტი კატარში.** ვიზიტის ფარგლებში <u>ხელი მოეწერა ორ დოკუმენტს: 1. "საქართველოს მთავრობასა და კატარის სახელმწიფოს მთავრობას შორის ინვესტიციების ორმხრივი ხელშეწყობისა და დაცვისთვის</u>

<u>შესახებ” და 2. “საქართველოს მთავრობასა და კატარის სახელმწიფოს მთავრობას შორის ეკონომიკური, სავაჭრო და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ”.</u>

- **2022 წლის 14 ივნისიდან ძალაში შევიდა საქართველოსა და არაბთა გაერთიანებულ საემიროებს შორის უვიზო მიმოსვლის რეჟიმი.** ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავების კუთხით მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 2021 წლის დეკემბერში საქართველოს მონაწილეობა დუბაიში გამართულ Expo 2021-ში, რომლის ფარგლებშიც გაფორმდა რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი. შედეგად 27 სექტემბერს საქართველოსა და არაბთა გაერთიანებულ საემიროებს შორის **თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესახებ მოლაპარაკებების პირველი რაუნდი გაიმართა.** აღსანიშნავია, ასევე **არაბთა გაერთიანებული საემიროების ეკონომიკისა და ვაჭრობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის ვიზიტი საქართველოში,** რომლის ფარგლებშიც გაფორმდა მემორანდუმი საქართველოსა და აგს-ს შორის ერთობლივი ბიზნეს საბჭოს შექმნის შესახებ.

- 2022 წლის 30 მარტს განხორციელდა საუდის არაბეთის ეკონომიკის მინისტრის ვიზიტი საქართველოში;

- 2022 წელის **ამოქმედდა საქართველოსა და სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნების თანამშრომლობის საბჭოს (GCC) სამდივნოს შორის სამოქმედო გეგმა** (2022-2026 წ.წ.).

- **2022 წლის 28-29 მაისს საქართველოს პრემიერ მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, სამთავრობო დელეგაციის თანხლებით, ოფიციალური ვიზიტით ეწვია იორდანიის ჰაშიმიტურ სამეფოს.** აღნიშნული ვიზიტისას ოფიციალურად გაფორმდა საქართველოსთვის მაცხოვრის ნათლობის ადგილზე, მდინარე იორდანეს მიმდებარედ, 4 ათასი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთის საჩუქრად გადმოცემა, სადაც შემდგომ ქართული კულტურის ცენტრის აშენებაა დაგეგმილი.

- 2022 წლის 18-20 თებერვალს, მიუნჰენის კონფერენციის ფარგლებში გაიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრის შეხვედრა ისრაელის სახელმწიფოს ვიცე-პრემიერთან, თავდაცვის მინისტრთან, ბენი განცთან. 2022 წლის 30 მაისს განხორციელდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის ოფიციალური ვიზიტი ისრაელის სახელმწიფოში.

- <u>გაეროს გენერალური ასამბლეის 77-ე სესიის ფარგლებში გაიმართა ჩემი ორმხრივი შეხვედრები **საუდის არაბეთის, კატარის, არაბთა გაერთიანებული საემიროების, ქუვეითის, იორდანიის, გამბიის, მადაგასკარის, განას და ბოცვანას საგარეო საქმეთა მინისტრებთან.**</u>

უსაფრთხოების არსებული გარემოს პირობებში ქვეყნის განვითარების მიზნით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აგრძელებდა ეროვნული ინტერესების შესაბამისი პოლიტიკის გატარებას, მათ შორის, **აფრიკის კონტინენტზე.** არაღიარების პოლიტიკის კონსოლიდაციის, რისკების პრევენციის და საზღვარგარეთ საოკუპაციო რეჟიმების უკანონო კონტაქტების აღკვეთის მიმართულებით ამ კონტინენტის მზარდი როლის და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

- **აფრიკის კავშირში** საქართველოს მიერ დამკვირვებლის სტატუსის მოპოვება და მისი პრაქტიკული გამოყენება, აფრიკის კონტინენტზე საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების დაფარვის არეალის ზრდა და ქვეყნის ცნობადობის ამაღლება, ხელს შეუწყობს საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების განხორციელებას აფრიკის ქვეყნებთან მიმართებით, ასევე კონკრეტულ მრავალმხრივ ფორმატებში ჩართულობას და აფრიკის საექსპორტო ბაზრების ათვისებას.

- <u>საანგარიშო პერიოდში გაიმართა ორმხრივი პოლიტიკური კონსულტაციების პირველი რაუნდი **ანგოლის მხარესთან** და ჩატარდა რიგით მე-6 პოლიტიკური კონსულტაციები **ეგვიპტის** საგარეო უწყებასთან.</u>

- **გრძელდებოდა ნაბიჯების გადადგმა ურთიერთობების განვითარების მიზნით კანადასა და ლათინური ამერიკის ქვეყნებთან, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია** 2022 წლის 7 აპრილს, ქ. მადრიდში ნატოს მინისტერიალის ფარგლებში, შეხვედრა ჩემსა და კანადის საგარეო საქმეთა მინისტრს **მელანი ჟოლის** შორის. ასევე მნიშნელოვანი იყო **ქ. ნიუ-იორკში, გაეროს გენერალური ასამბლეის 77-ე სესიის ფარგლებში ჩემი შეხვედრები გვატემალის, სენტ ლუსიასა, სურინამის და პერუს საგარეო საქმეთა მინისტრებთან. გაეროს სესიის ფარგლებში ასევე შედგა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის შეხვედრები არგენტინისა და დომინიკის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეებთან.** შეხვედრების შედეგად, გაფორმდა ორმხირივი ხელშეკრულებები დიპლომატიური, სამსახურებრივი და ორდინალური პასპორტების მფლობელთათვის უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებით სენტ ლუსიასა და გვატემალის რესპუბლიკასთან.

მრავალმხრივი დიპლომატია

საქართველოს ეროვნული ინტერესების პოლიტიკის გატარების, მათ შორის, ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, რაზეც უკვე დასაწყისში ვახსენე, აქტიურად და რეგულარულად გამოიყენებოდა საერთაშორისო ორგანიზაციების - გაეროს, ევროპის საბჭოს და ეუთოს, შესაბამისი ფორმატები.

- **უდიდესი წარმატება იყო სულ რამდენიმე დღის წინ, 11 ოქტომბერს, საქართველოს არჩევა, უკვე მეორედ, გაერო-ს ადამიანის უფლებათა საბჭოს (HRC) წევრად, 2023-2025 წწ. ვადით (არჩევნები გაიმართა 2022 წლის 11 ოქტომბერს). გაერო-ს ადამიანის უფლებათა საბჭოს წევრობა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საქართველოს მთავრობისთვის ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხების მნიშვნელობას. საბჭოს წევრობა იძლევა დამატებით შესაძლებლობებს, რათა საქართველო უფრო აქტიურად იყოს ჩართული გაერო-ს ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმების მუშაობაში.**

- **აღსანიშნავია, რომ რუსეთ-საქართველოს ომის მე-14 წლისთავთან დაკავშირებით, გაერო-ს უშიშროების საბჭოს დახურულ სხდომაზე, განხილულ იქნა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება და კონფლიქტის მოგვარების საკითხი, რაც, ბოლო წლებში, ერთგვარ ტრადიციად იქცა.**

- აღსანიშნავია, რომ მიდინარე წლის ზაფხულში გაერო-დან საქართველოში **განხორციელდა ორი მაღალი დონის ვიზიტი**:

✓ 23-26 ივლისს, საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ეწვია გაერო-ს გენერალური ასამბლეის 76-ე სესიის პრეზიდენტი, აბდულა შაჰიდი, რაც იყო მისი პირველი ვიზიტი საქართველოში.

✓ 31 აგვისტოს კი, საქართველოში იმყოფებოდა პოლიტიკურ და სამშვიდობო საკითხთა და სამშვიდობო ოპერაციების დეპარტამენტებში გაერო-ს გენერალური მდივნის თანაშემწე, მიროსლავ იენჩა.

- **საქართველო აგრძელებდა კოალიციის - „დემოკრატიათა თანამეგობრობა“ მოქმედი სამუშაო ჯგუფის -„დემოკრატია და ტექნოლოგიები“ - თავმჯდომარეობას**, რომლის მიზანია დემოკრატიული პროცესებისა და შესაბამისი მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელება.

- **აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში, 21-24 თებერვალს განხორციელდა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის, დუნია მიატოვიჩის ვიზიტი საქართველოში.**

- **20 მაისს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სიტყვით გამოვიდა ტურინში გამართულ ევროპის საბჭოს 132-ე მინისტერიალში, რომლის დროსაც განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს რეგიონებში უსაფრთხოების, ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული კუთხით არსებულ მძიმე მდგომარეობაზე**.

- **აღსანიშნავია, რომ ევროპის საბჭოსთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა აქტიურად იყენებდა ევროპის საბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის ფორმატს, საქართველოსა და ორგანიზაციისთვის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით,** მათ შორის, რუსეთ-საქართველოს კონფლიქტისა და რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს ტერიტორიებზე არსებული ვითარების შესახებ განცხადებების გასაკეთებლად და საერთაშორისო თანამეგობრობისთვის შესაბამისი ინფორმაციის მისაწოდებლად.

- **ევროპის საბჭომ 2013 წლიდან დაიწყო საქართველოსთვის სტრატეგიული თანამშრომლობის ინსტრუმენტის - სამოქმედო გეგმის განხორციელება,** რომელიც ხდება ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების, ასევე ევროკავშირის მიერ გამოყოფილი ფინანსური კონტრიბუციის საშუალებით. შესაბამისად, **მიმდინარეობდა 2020-2023 წლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული პროექტების განხორციელება.**

- **დემოკრატიული რეფორმების მიმართულებით აქტიურად გრძელდებოდა ევროპის საბჭოსთან მჭიდრო თანამშრომლობას.**

- **ეუთოდან საქართველოში განხორციელდა 5 მაღალი დონის ვიზიტი.** კერძოდ, საქართველოს ეწვივნენ ეროვნული უმცირესობის საკითხებში ეუთო-ს უმაღლესი კომისარი; მედიის თავისუფლების საკითხებში ეუთო-ს წარმომადგენელი; ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) დირექტორი; ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი და შემწყნარებლობისა და დისკრიმინაციასთან ბრძოლის საკითხებში ეუთო-ს თავმჯდომარეობის პირადი წარმომადგენლები).

- **შედგა საქართველოსა და ეუთო-ს მაღალი რანგის წარმომადგენელთა არაერთი შეხვედრა და გაიმართა არაერთი ღონისძიება, რომელზეც სიტყვით წარსდგნენ საქართველოს მაღალი რანგის წარმომადგენლები**, მათ შორის აღსანიშნავია ვენაში გამართული უსაფრთხოების საკითხების მიმოხილვის ეუთო-ს ყოველწლიური კონფერენცია (ASRC).

- **აქვე აღსანიშნავია, რომ 18 სახელმწიფომდე გაიზარდა ეუთო-ში საქართველოს მეგობართა არაფორმალური ჯგუფის რაოდენობა.**

- ეუთო-ს მოქმედი პოლონეთის თავმჯდომარეობის ორგანიზებითა და ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის მხარდაჭერით, სექტემბერში გაიმართა ადამიანური განზომილების კონფერენცია - "Warsaw Human Dimension Conference", რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს დელეგაციამ, მათ შორის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა. **ღონისძიების ფარგლებში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა ორი პარალელური ღონისძიება: ტექნოლოგიები დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სამსახურში და რელიგიური და ეთნიკური დისკრიმინაცია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე.**

- საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელდა და მიმდინარეობს აქტიური საარჩევნო კამპანიები საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს **კანდიდატურების მხარდაჭერის** მიმართულებით.

საანგარიშო პერიოდში საქართველო არჩეულ იქნა:

- **გაერო-ს არასამთავრობო ორგანიზაციების კომიტეტის (UN NGO Committee) წევრად** (2022-2026 წლების ვადით).

- **ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის დემოკრატიის, ადამიანის უფლებების და ჰუმანიტარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს საქართველოს პარლამენტის ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეაში (OSCE PA) მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელი და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე, ბატონი ნიკოლოზ სამხარაძე.** კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევით იგი აგრეთვე გახდა ასამბლეის მთავარი გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს - ბიუროს წევრი.

მიმდინარე წელს კიდევ უფრო საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააააქტიურა ძალისხმევა **ეკონომიკური დიპლომატიის** მიმართულებით.

- ექსპორტის ხელშეწყობისა და ინვესტიციების მოზიდვის მიზნით გაიმართა **60-ზე მეტი ბიზნეს დელეგაციის** ვიზიტი და ონლაინ შეხვედრა, ასევე ბიზნეს ფორუმები. *(მათ შორის ვიზიტები აშშ-დან, არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან, ბრიტანეთიდან, გერმანიიდან, დანიიდან, ეგვიპტიდან, ესტონეთიდან, თურქეთიდან, იაპონიიდან, ინდოეთიდან. ფორუმები კანადაში, კატარში, მალაიზიაში, პორტუგალიაში, საფრანგეთში, უნგრეთში, შვეიცარიაში; ასევე, ონლაინ ბიზნეს შეხვედრები არაბთა გაერთიანებულ საამიროების, აშშ-ის, გაერთიანებული სამეფოს, იაპონიის, იტალიის, ნორვეგიის, ფინეთის, შვედეთის ეკონომიკური პროფილის ორგანიზაციების და ბიზნეს წრეების წარმომადგენლებთან).*
- **სულ მცირე ხნის წინ, 3-5 ოქტომბერს საქართველოს ეწვია გერმანიის აღმოსავლეთ ევროპის ბიზნეს ასოციაციის დელეგაცია** - 18 მსხვილი კომპანიის წარმომადგენელის შემადგენლობით.
- გაიმართა არაერთი შეხვედრა **საქართველოს ბიზნეს ორგანიზაციებთან** ქართული პროდუქციის უცხოურ ბაზარზე ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით.
- ქვეყნის შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით, ხელი შეეწყო საქართველოს სამთავრობო სტრუქტურების წამომადგენლების მონაწილეობას 50-მდე საერთაშორისო ღონისძიებაში - მსოფლო მასშტაბით 30-ზე მეტ ქალაქში.
- გაიმართა პრეს-ტურები **პოლონელი და ფინელი** ჟურნალისტებისთვის. საქართველოს ასევე სტუმრობდნენ **ტრაპიზონის** რეგიონული პალატის სერთიფიცირებული გიდები.
- პარტნიორ ქვეყნებში მუდმივად ვრცელდებოდა საქართველოს საინვესტიციო, საექსპორტო, ტურისტული პოტენციალის ამსახველი მასალები;
- განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება თანამშრომლობას **ინვესტიციების მოზიდვის** სფეროში ჩვენი უწყების აქტივობებს.

(ეგვიპტურმა კომპანიამ მ.წ. აგვიტოში შეიძინა მთავრობის მიერ აუქციონზე გამოტანილი წყალტუბოს სანატორიუმი „მედეა“ საინვესტიციო ვალდებულების შესრულების პირობით. გრძელდება მუშაობა გერმანულ კომპანიასთან „CDH“-სთან, გარდაბანში მულტიფუნქციური კლინიკის მშენებლობაზე (მათი ინფორმაციით, საინვესტიციო მოცულობა 300 მლნ აშშ დოლარს შეადგენს);

- საელჩოების მეშვეობით **ქართულ ბიზნეს სექტორს მიეწოდა 70-მდე უცხოური კომპანიის საქმიანი წინადადება**, საიდანაც 20-ზე მეტმა იპოვა პარტნიორი. საელჩოების მეშვეობით საზღვარგარეთ გავრცელდა 50-მდე ქართული კომპანიის საქმიანი წინადადება;
- მ.წ. 1-2 ოქტომბერს, ჩვენი ინიციატივით გაიმართა უცხოეთის ქვეყნებში **საქართველოს საპატიო კონსულების შეკრება**, რომლის მთავარ ლეიტმოტივს წარმოადგენდა ინვესტიციების მოზიდვისა და ვაჭრობის ხელშეწყობის კუთხით საქმიანობის გააქტიურება. ასევე აქტიურად ვმუშაობთ ეკონომიკურ დიპლომატიის კუთხით, **საზღვარგარეთ ქართული დიასპორის** ჩართულობის კიდევ უფრო

გააქტიურების მიზნით. ამ კუთხით პრაქტიკაში დავნერგეთ ონლაინ ბიზნეს დიალოგის ფორმატი.

- მიმდინარეობდა მუშაობა საქართველოს **სავაჭრო-სამრეწველო პალატის** თანამშრომლობის ქსელის გაფართოებაზე. ხელი მოეწერა 10-მდე ურთიერთგაგების მემორანდუმს. ასევე, სამმხრივ ურთიერთგაგების მემორანდუმს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატას, სსიპ-ს „აწარმოე საქართველოში“ და არაბთა გაერთიანებული საამიროების პალატების ფედერაციას შორის, საქართველო-არაბთა გაერთიანებული საამიროების ბიზნეს საბჭოს ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით.

საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვა

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი მიზანი იქნება საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების უფლებების და კანონიერი ინტერესების კიდევ უფრო ეფექტური დაცვა; საკონსულო სერვისების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

- 2022 წელს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, **ქალაქ შტუტგარტში კიდევ ერთი ახალი საკონსულო დაწესებულება ამუშავდა**. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება **საფრანგეთის** რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, **ქ. სტრასბურგში ევროპის საბჭოსთან** საქართველოს მუდმივ წარმომადგენლობაში საკონსულო ფუნქციებით დიპლომატის დანიშვნასთან დაკავშირებით.

- ამასთან, საგარეო საქმეთა სამინისტრო აქტიურად მუშაობს საპატიო კონსულის ინსტიტუტის განვითარების მიმართულებით. **2022 წელს დაინიშნა 3 ახალი საპატიო კონსული,** 3 კანდიდატის მიმართ სრულდება შესაბამისი პროცედურები და, დღეის მდგომარეობით, **საქართველოს მსოფლიოს 64 ქვეყანაში უკვე ჰყავს 85 საპატიო კონსული**.

- 2022 წელს **ძალაში შევიდა უვიზოდ მიმოსვლის შეთანხმებები არაბთა გაერთიანებულ საამიროებთან, ლაოსის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკასთან და კამბოჯასთან.**

- **ხელი მოეწერა** უვიზო მიმოსვლის შეთანხმებას **სენტ ლუსიასთან.**
- **ინიცირებულია** უვიზო მიმოსვლის შეთანხმებები **ვიეტნამის** სოციალისტურ რესპუბლიკასა და **ნამიბიასთან**.
- **შიდასახელმწიფოებრივი** პროცედურები, უვიზო მიმოსვლის შეთანხმებებთან დაკავშირებით, მიმდინარეობს შემდეგ ქვეყნებთან: **ფილიპინების რესპუბლიკა, ბოლივიის მრავალეროვანი სახელმწიფო, ირლანდია, ჰონდურასი და პერუ.**

დღეის მდგომარეობით, საქართველოს ორდინალური პასპორტის მფლობელ **მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ უვიზოდ იმოგზაურონ მსოფლიოს 69** ქვეყანაში, ხოლო **დიპლომატიური ან სამსახურებრივი პასპორტის მფლობელებს - 86 ქვეყანაში.**

- გასულ წელს დასრულდა საკონსულო საქმიანობის მართვის ელექტრონული სისტემის მასშტაბური განახლების პირველი ეტაპი. **მიმდინარე წელს განხორციელდა, როგორც ვებ-გვერდის, ასევე მობილური აპლიკაციის კუთხით დეველოპინგის პროცესი. ამჟამად მიმდინარეობს ლაივ-გარემოზე გასასვლელად მოსამზადებელი სამუშაოები.** თითოეული ინოვაციის მიზანი საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეებისათვის კომფორტული სერვისის შეთავაზება, ბიუროკრატიული პროცედურების შემცირება და მომსახურებისა და ინფორმაციის მაქსიმალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაა.

- საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან კოორდინაციით, აგრძელებს აქტიურ თანამშრომლობას **ევროკავშირის წევრ და სხვა მაღალგანვითარებულ ქვეყნებთან ცირკულარული მიგრაციის სფეროში თანამშრომლობის კონკრეტული შესაძლებლობების განვითარების** მიზნით.

დიასპორასთან ურთიერთობა

საქართველოს სახელმწიფო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს **საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობისა** და ორმხრივად სარგებლიანი თანამშრომლობის განვითარებას.

- **მიმდინარე წლის 27 მაისს წარმატებით ჩატარდა დიასპორის დღისადმი მიძღვნილი ტრადიციული ფორუმი სახელწოდებით „ქართული დიასპორა საქართველოს ევროპული მომავლისათვის“,** რის ფარგლებშიც, პრემიერ-მინისტრი გამოვიდა ინიციატივით, რომ შემცირდეს საზღვარგარეთ გასაცემი პასპორტის საფასური და მაქსიმალურად გამარტივდეს საზღვარგარეთ პასპორტის აღების პროცედურები.

- **წარმატებით განხორციელდა არსებული დიასპორული პროგრამებით გათვალისიწინებული აქტივობები,** იქნება ეს, „საკვირაო სკოლების მხარდაჭერის პროგრამა“, პროგრამა „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ („საქართველოს ახალგაზრდა ელჩები“), თუ სხვა.

- **მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ქვეყნის განვითარების პროცესში დიასპორის ჩართულობის გასაძლიერებლად.** პარტნიორ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად (IOM, ICMPD, GIZ).

- **საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ მონაწილეობა მიიღო დიასპორის გლობალურ სამიტში** და შეუერთდა დუბლინის დეკლარაციას, რომელიც წარმოადგენს გლობალური დიასპორული ჩართულობის სამოქმედო გეგმას.

- **სამინისტრომ ასევე უმასპინძლა IOM-ისა და UNESCO-ს მხარდაჭერით ორგანიზებული კონფერენციის ფარგლებში** სესიას სახელწოდებით „ქართული დიასპორა და მეცნიერება საზღვრებს გარეთ“.

- მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრთან (ICMPD) ერთად, **მიმდინარეობს „უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებათა პაკეტის მომზადებაზე** მუშაობა საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით.

საბერძნეთის და თურქეთის საჯარო სკოლებში წარმატებით გრძელდება სპეციალურად შემუშავებული ქართული ენის სწავლების საპილოტე პროგრამა და ქართული ენის შესასწავლად განკუთვნილი მაღალი კლასების სახელმძღვანელოების მომზადება.

- **განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საზღვარგარეთ ახალი საგანმანათლებლო და კულტურული კერების დაფუძნებას** - მოეწყო 5 ახალი საკვირაო სკოლა.

კულტურული დიპლომატია

წლის განმავლობაში, განხორციელდა ევროპაში ქართული კულტურის წარმოჩენაზე მიმართული არაერთი ღონისძიება, მათ შორის, **საქართველოსა და რიგ ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის 30 წლისთავის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავი ღონისძიებები.**

- **სექტემბერში, ხელი მოეწერა „საქართველოს მთავრობასა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის კულტურის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმებას.**

- **წელს, ორი ქართული ნომინაცია გაერთიანდა UNESCO-ს ბიო-რეზერვატების მსოფლიო ქსელში (WNBR).**

- **ბოლო პერიოდში UNESCO-სთან თანამშრომლობას ახალი განზომილება - ბუნების კომპონენტი - დაემატა,** რაც გარემოს დაცვის მიმართულებით ქვეყნის პოზიტიური იმიჯის გამყარების და ტურისტული პოტენციალის გაზრდის კიდევ ერთი კარგი ინსტრუმენტია.

- **საქართველოს დიპლომატიურმა წარმომადგენლობებმა საზღვარგარეთ, ტრადიციულად მიიღეს მონაწილეობა ენების ევროპული დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში.** ასევე, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საქართველოს საელჩოს ხელშეწყობით, **შვეიცარიაში, ბერნის უნივერსიტეტში საქართველოს შესახებ ინტერდისციპლინარული სალექციო კურსის გახსნა.**